



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

---

### ალ-მაკრიზი თაკი ად-დინ აჰმად იბნ ალი

ალ-მაკრიზი თაკი ად-დინ აჰმად იბნ ალი (1364, კაირო, – 1442, იქვე), მამლუქთა ეპოქის ეგვიპტელი ისტორიკოსი. მნიშვნელოვანია მისი ნაშრომები: „გზა მეფეთა დინასტიების შესაცნობად“ („ქითაჲბ ას-სულუჲქ ლიმა'რიფათ დუვაჲლ ალ-მულუჲქ“) და „ნიგნი რჩევისა და დარიგებისა კვარტალებზე და ძეგლებზე საუბრისას“ („ქითაჲბ ალ-მავა“-იზ ვა ლ-ი'თიბარ ფიჲზიჲქრ ალ-ხიტატ ვა ლ'ასარ“), სადაც საყურადღებო ცნობებია საქართველო-ეგვიპტის ურთიერთობის ისტორიისათვის XIII-XV სს-ში. კერძოდ, მათში საუბარია დავით ნარინის ელჩების ვიზიტზე სულთან ბაიბარსთან 1264-65, 1268; აგრეთვე გიორგი V-ის ორ ელჩობაზე ეგვიპტის სასულთნოში 1316-17, 1320; სულთნისათვის ქართველი მეფის საჩუქრებისა და წერილების გადაცემაზე, პალესტინის წმინდა ადგილების თაობაზე გამართულ მოლაპარაკებებზე, ქართველ ელჩების დასაჩუქრებაზე, ქართველთა მეფისათვის საპასუხო წერილის გამოგზავნაზე და სხვ. მ-ის ცნობით, ქართველებმა ჯვრის მონასტერი დაიბრუნეს 1305.

ლიტ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 3, თბ., 1979; ს ი ლ ა გ ა ძ ე ბ., მასალები საქართველო-ეგვიპტის ურთიერთობის ისტორიისათვის, „ქართული წყაროთმცოდნეობა“, 1968, [ტ.] 2; ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. 3, თბ., 1982.

**გ. ჯაფარიძე**

---